პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 158 (19899) პარასკევი, 10 ივლისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა რ. ფონ ვაიცზეკერს

7 ივლისს კრემლის სასახლის ეკატერინეს დარბაზში მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს რიჰარდ ფონ ვაიცზეკერს.

მიესალმა რა პრეზიდენტსა და მის თანმხლებ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ. დ. გენშერს, მ. ს. გორბაჩოვმა გაიხსენა, რომ შარშან მოსკოვში გენშერის ვიზიტის დროს თითქოს მორიგდნენ „გადაეშალათ ახალი ფურცელი“ ორი ქვეყნის ურთიერთობაში. მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით შეუსებელი დარჩა, ერთ დროს იმის საფრთხეც კი შეიქმნა, რომ დაიხურებოდა. საბედნიეროდ, ეს არ მომხდარა. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ახლანდელ ვიზიტს.

საბჭოთა კავშირი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი დამოკიდებულებაში ითვალისწინებს მის პოტენციალსა და შესაძლებლობებს, მის ადგილს ევროპასა და მსოფლიოში, ხელმძღვანელობს იმით, რომ ორივე ქვეყნის ურთიერთობის მრავალსუკუნოვანი ისტორია, რომელშიც ბევრი რამე ყოფილა მძიმეც, პოზიტიურიც, ავალდებულებს მათ სათანადოდ მოეკიდონ ერთმანეთს. მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ წარსული ომის უმძიმეს დროშიც კი არ დაგვიკარგავს რეალობის გრძნობა. ჩვენ გერმანელ ხალხს არ ვაიგივებდით ნაცისტურ რეჟიმთან. და მას როდი ვადანაშაულებთ უბედურებებში, ჰიტლერულმა აგრესიამ რომ მოგვიტანა.

ჩვენს ახლანდელ პოლიტიკასაც ვაგებთ მსოფლიოსა და ევროპის მთელი სიტუაციის უკეთესობისაკენ შეცვლაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობის შესაძლებლობათა რეალისტურ შეფასებაზე. და, რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც რეალისტურად შეაფასებს საბჭოთა კავშირის როლსა და შესაძლებლობებს.

საშინაო პოლიტიკის განახლებასთან ერთად ვახორციელებთ გარდაქმნას, მიგვაჩნია, რომ უკვე მეს პირველ ეტაპზე იქმნება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან, ურთიერთობის ახალ დონეზე აყვანის, მისთვის დინამიკური ხასიათის მინიჭების შესაძლებლობები.

გვსდავთ, რომ დასავლეთ გერმანიის საზოგადოების ბევრ ფენაში არის შემხვედრი მისწრაფება განავითაროს ჩვენთან ურთიერთობა სხვადასხვა დარგში. შეიძლება წარმოიქმნას ყოველგვარი კაზუსი. დაზღვეული ამისგან არავინ არ არის. მაგრამ, თუ დავიცავთ მთავარს, პრინციპულ გეზს, შეიძლება ყოველი საკითხის მოწესრიგება.

თანამოსაუბრენი შეთანხმდნენ იმაში, რომ ისეთ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის აგება, როგორიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სსრ კავშირია, საჭიროა სოლიდურ, გრძელვადიან საფუძველზე, 2000 წლისა და უფრო შორი პერიოდის პერსპექტივით.

მ. ს. გორბაჩოვი მიესალმა რ. ფონ ვაიცზეკერის გამცხადებას მოსკოვის ხელშეკრულებისა და სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა ხელშეკრულებების როგორც აღმოსავლეთ ევროპის მიმართ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის ბაზის შესახებ. მაგრამ როცა ჩვენ, თქვა მან, წამდაუწუმ გვესმის, თითქოს „გერმანიის საკითხი“ ღია იყოს, რომ „აღმოსავლეთით მდებარე მხარეებთან“ დაკავშირებით ყველაფერი მთლად ცხადი არ არის და რომ იალტა და პოტსდამი „არამართლზომიერია“, „ეჭვი მებადება, ამირებს თუ არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თანამმდევრულად ამ ხელშეკრულებას. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში საფუძვლიანობას ახლა და მომავალში ადეკვატურ პასუხს გასცემს საბჭოთა ხელმძღვანელობა, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა. მაგრამ მას სჭირდება ისეთი პოლიტიკა, რომელიც არ იქნება მერყეული, არ მოახდენს რეაგირებას კონიუნქტურულ მიმდინარე მოვლენებზე და რომელიც გამოხატავს საკუთარ და არა ვინმეს ინტერესებს. არის შესაძლებლობა ხელახლა გავიაზროთ ორი ქვეყნის ურთიერთობა. ამისათვის მზად ვართ, მაგრამ უნდა განვთავისუფლდეთ კომპლექსებისაგან, პოლიტიკური მითებისაგან, საბჭოთა კავშირის სახით მტრის სტერეოტიპისაგან.

ჰეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა ენენებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის საფუძვლიანობას. ორივე სახელმწიფოს შეუძლია მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მსოფლიო განვითარებაში, თუკი დარჩება თავისთავადი თავის სისტემებსა და თავის კავშირებში. მათი ურთიერთობის სტაბილურობა ნიშნავს სტაბილურობას ევროპაში, შეესაბამება თავად მათი, სახელმწიფოთა ევროპულ და მსოფლიო გაერთიანების ინტერესებს.

გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაზიარება „სრულიად ევროპის სახლის“ ცნების, ამაში ჰელსინკის პროცესისა და მისი „სამი კალათის“ როლის შესახებ. თუ სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ, წარმოუდგენელია ევროპის მშენებლობა. საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უშიშროება საიმედო იყოს. იგი მზად არის ერთად შეავსოს „მეორე კალათი“, ესე იგი განამტკიცოს სრულიად ევროპის განვითარების მატერიალური ბაზა, გააფართოოს და სრულყოს ეკონომიკური კავშირურთიერთობა. მზად არის „მესამე კალათის“ შესახებ აზრთა ფართო გაზიარებისათვის. და ესეც სავსებით შესაძლებელია, თუ მას კვლავ არ გამოიყენებენ საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. თუმცა იყო გარკვეული აქცენტები და ნიუანსები მშვიდობიანი ევროპის მშენებლობისადმი მიდგომაში, მაგრამ გამოვლინდა, რომ მთავარში ერთნაირი აზრი აქვთ ამ საკითხზე.

როცა სრულიად ევროპის სახლის კონცეფცია განიხილეს, თანამოსაუბრენი შეეხნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში ინტეგრაციული პროცესების პრობლემას, შეთანხმდნენ, რომ დროა იფიქრონ სრულიად ევროპის პროცესზე, რომელიც სამსახურს გაუწევდა მთლიანად ევროპას. მ. ს. გორბაჩოვმა ამასთან დაკავშირებით თანამოსაუბრის ყურადღება მიაპყრო სერიოზულ ვნებას, რომელიც შეიძლება ყველას მოუტანოს დასავლეთ ევროპაში ინტეგრაციის ისეთმა ელემენტებმა, რომლებიც ორიენტირებულია ბირთვული იარაღის ნაცვლად ახალ სახეობათა თანამედროვე იარაღის შექმნაზე. და ეს იმ მომენტში, როცა მთელი სერიოზულობით დგას საკითხი ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ყოველგვარი შეიარაღების, თან შორის ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ.

კაცობრიობის წინაშე დადგა უდიდესი პრობლემები: გადარჩენის, ეკოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და მისი სოციალური შედეგების, ურთიერთინფორმაციის, ენერგეტიკის, მოსახლეობის პრობლემები. მათი გადაჭრა შეიძლება, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, თუ ვიზელმძღვანელებთ ახალი აზროვნებით და თავიდან მოვიშორებთ დინოზავრების ფსიქოლოგიას.

რ. ფონ ვაიცზეკერი შეეხო გერმანელი ერის საკითხს. მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა, რომ არ აპირებს თეორეტიკოსობას ამ ცნების გამო ამასთან დაკავშირებით. ახლა მნიშვნელოვანია პოლიტიკური ასპექტი. არის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ორი გერმანული სახელმწიფო. მათ თავიანთი ღირებულებანი აქვთ. ორივემ გამოიტანა დასკვნები ისტორიიდან, და თითოეულს შეუძლია შეჰქონდეს წვლილი ევროპისა და მსოფლიოს საქმეებში. ხოლო რა იქნება ასი წლის შემდეგ, ამას ისტორია გადაწყვეტს. სხვა ნებისმიერი მიდგომა მიუღებელია. ვინმე სხვა გზას რომ დაადგეს, ამას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ამ საკითხში აბსოლუტური სიცხადე უნდა იყოს. იგი შეეხო ომის დამთავრების შემდეგ ჩერჩილისა და ამერიკელთა გეგმებს, იმას, რომ საბჭოთა კავშირს არ მოეძღვის ბრალი გერმანიის გათიშვაში. დღეს კი ორი გერმანული სახელმწიფო რეალობაა, სწორედ ამით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან გამოთხოვებისას მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ შინაარსიანი და გულახდილი იყო გამართული სჯა-ბაასი. გამოთქვა იმედი, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში ახალი ფურცელი ამ ვიზიტისა და უმაღლესი დონის დიალოგის შემდგომი განვითარების შედეგად შეივსება პოზიტიური შინაარსით — პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური შინაარსით, სპორტული ურთიერთობითა და კონტაქტებით ორივე ქვეყნის მოქალაქეთა შორის.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ე. ა. შევარდნაძე, ჰ. დ. გენშერი, ელჩები ი. ა. კვიცინსკი და ა. მაიერ-ლანდრუტი. (საკდესი).

ვიზიტი გრძელდება

8 ივლისს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტის რ. ფონ ვაიცზეკერის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების მონაწილეთა საერთო აზრი ის იყო, რომ მათი საკუთარი ინტერესებისა და ევროპის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის საჭიროა დაამკვიდრონ საერთაშორისო საქმეებში პოლიტიკური ფილოსოფია, რომელიც უარყოფს როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ ომებს, გეზს იღებს მშვიდობაზე, კაცობრიობის წინაშე დასახული პრობლემების ერთობლივ გადაჭრაზე.

იმავე დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა პრესცენტრში გაიმართა პრეზიდენტის პრესკონფერენცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

7 ივლისს გამართულ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი და შესანახი ობიექტების 1987 წელს ამოქმედების უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი. პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა არასაკმარისად ცნო. სამინისტროებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან წარმოების კოოპერაციის რეალური შესაძლებლობები აქვთ. განსაორიელონ დამატებითი ღონისძიებანი საგარეო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების რეალიზაციის გაძლიერებისათვის — ერთობლივ საწარმოთა შექმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოიწონა მტკვრის ხანგრძლივი განხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან პირდაპირი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის, ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების შექმნისათვის რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობის მდგომარეობის საკითხი. რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა ამ მხრივ არასაკმარისად ცნეს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის საკითხთა კომისიას, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და განათლებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში სახაგრომრეწვის მიერ გაწეული მუშაობა არასაკმარისად ცნო. დასახულია საწვავ-საპარო მასალების ხარჯვისა და შენახვის მოწესრიგების ღონისძიებანი. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აგდილმრივ საბჭოთა ორგანოებს დაევალთ თანაბიანთ კონტროლს დაუკვირდებარონ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოებს მუშაობა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისათვის, მკაცრი პარტიული შეფასება მისცენ უყაირათობასა და მფლანგველობას ამ საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან პირდაპირი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის, ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების შექმნისათვის რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობის მდგომარეობის საკითხი. რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა ამ მხრივ არასაკმარისად ცნეს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის საკითხთა კომისიას, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს დაევალთ გააკეთურონ საქმიანობა, რათა ამ მუშაობაში ფართოდ ჩაებან გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საწარმოებთან და ორგანიზაციებთან წარმოების კოოპერაციის რეალური შესაძლებლობები აქვთ. განსაორიელონ დამატებითი ღონისძიებანი საგარეო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების რეალიზაციის გაძლიერებისათვის — ერთობლივ საწარმოთა შექმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ხანგრძლივი ადგილების შედეგად ქალაქ რუსთავში თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ტექნიკური წყალმომარაგების სისტემის სათავო ნაგებობებში გამოწვეული ავარიის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელი ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის დ. ჩხეიძეშვილის ანგარიში იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ქვეყანაში უმაღლესი განათლების გარდაქმნისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის დადგენილება რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესი განათლების გარდაქმნისათვის მუშაობის ძირეული გაუმჯობესების მიზნით ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობასა და პარტიულ ბიუროს მოსთხოვა შეიტანონ ცვლილებანი უმაღლეს სასწავლებლებში მიღების გეგმებში სპეციალისტებზე რეალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად, აღმოფხვრან დისპროპორცია სტუდენტობისა და მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში, განაახლონ საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების იდეურ-თეორიული შინაარსი პრაქტიკასთან თეორიის კავშირის განმტკიცების შესახებ თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, განახორციელონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, აპარატის საქმიანობაზე პარტიული გავლენის შემდგომი გაძლიერების დამატებითი ღონისძიებანი, უფრო მკაცრად მოსთხოვონ უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებსა და პარტიულ კომიტეტებს გარდაქმნის ტემპის დაჩქარება.

კონტროლის წესით განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება რაიონული კულტურის სახლებისა და სოფლის კლუბების მშენებლობის გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. სოფლად კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პროგრამის სარეალიზაციოდ პარტიული და საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებისა და უწყებებს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს. დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ძირეულად გაუმჯობესდეს საქმის ვითარება ამ ობიექტების მშენებლობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს 1987 წელს მათი ამოქმედების საგეგმო დავალებათა შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოისმინა ამხ. ვ. ი. ალაკიძისა და დ. გ. ჩუბინიშვილის ანგარიშები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად პარტიის თბილისისა და გორის საქალაქო კომიტეტების მუშაობის თაობაზე. ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების სხვა საკითხებზეც.

ᲨᲔᲯᲘᲖᲠᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲖᲔ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲖᲣᲡᲢ ᲠᲘᲗᲛᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲜᲓᲔᲡ

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

ასია დასათაურებული გაზეთ „პრავდის“ მიმდინარე წლის 9 ივლისის ნომერში დასტამბული მოწინავე წერილი. ტრანსპორტი, ნათქვამია სტატიაში, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში, უშუალო ზეგავლენას ახდენს ყველა მის დარგზე. ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ივნისის პლენუმმა დასახა, დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ტრანსპორტელებს. მათი მთავარი ამოცანაა დროულად, ხარისხიანად და მთლიანად დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობა ტვირთის გადაზიდვებითა და მოსახლეობის გადაყვანით.

დასახული ამოცანების შესასრულებლად რკინიგზის მაგისტრალის მშრომელებმა ყველა რეზერვი უნდა ამოქმედონ, აქტიურად დანერგონ პრაქტიკაში მართვის ახალი მეთოდები, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, უფრო ფართოდ გამოიყენონ მოწინავე გამოცდილება. საჭიროა მეურნეობრიობის ახალი პირობების გათვალისწინებით განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება.

წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი საიმედო რეზერვია მოწინავე გამოცდილება. ბიუროკრატიულ „კედელს“ აწყდება ლვოველ ტრანსპორტელთა გამოცდილება, რომლებმაც ვაგონების ეფექტიან გამოყენებას მიაღწიეს.

იმათ შორის, ვინც არ ჩქარობს ამ მეთოდის დანერგვას, დასახელებულია ამიერკავკასიის რკინიგზაც.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ამიერკავკასიის რკინიგზის საკონტეინერო ტვირთზიდვისა და კომერციული მუშაობის სამსახურის უფროსს ვ. ბუჩუკურს.

გაზეთ „პრავდის“ მოწინავე წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეესაბამება. ლვოველთა გამოცდილება გულისხმობს ვაგონების ეფექტიანი გამოყენების კომპლექსური სისტემის დანერგვას. ეს უწინარესად ეხება იმ ორგანიზაციებს, რომელთა მოთხოვნა ვაგონებზე დიდია. ამ მეთოდის თავისებურება ის არის, რომ გზა და საწარმო ერთობლივად აგებენ პასუხს ვაგონების დატვირთვა-განტვირთვის გეგმებისა და ვაგონების დადგენილი ნორმა-საათების შესრულებისათვის.

ის ორგანიზაციები, რომლებთანაც ამ მხრივ ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული, ვერ იცავენ მათ. ვერ ეტეკვიან განტვირთვისათვის ნავარაუდევ დროში და თანაც სულ დამატებით ითხოვენ ვაგონებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ პრაქტიკულად არც ერთ ორგანიზაციაში არ მუშაობს წესიერად სატრანსპორტო სამსახური. ცუდად ზრუნავენ სამუშაოთა ფრონტის გაფაროთებისათვის, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სატვირთო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. ძალიან ცუდად მიმდინარეობს განტვირთვა ღამის საათებში. წლის პირველ ნახევარში სამტრედიის განყოფილების ტერიტორიაზე, მაგალითად, მთელი ტვირთის მოცულობის მხოლოდ 11 პროცენტი გადმოიტვირთა. ივნისში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდა. არადა, ღამით სულ ცოტა საქონლის მოცულობის 40 პროცენტი მაინც უნდა გადმოიტვირთოს.

ჩვენი მხრივ, ვსახავთ ღონისძიებებს ლვოველთა მეთოდის სრულყოფილი დანერგვისათვის, მაგრამ ამაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან იმ ორგანიზაციებმა, რომელთა მოთხოვნა ვაგონებზე დიდია.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲨᲠᲣᲜᲐᲕᲘ

გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მას კარგი შრომითი ტრადიციები აქვს. სახელოვანი შრომით აქ ბევრს უსახელებია თავი. მათ შორის არის მრთველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი ნელი გელდიაშვილი. მას, როგორც დეპუტატს, ბევრი საზრუნავი აქვს. მასთან მიდიან რჩევისათვის, სთხოვენ მრავალი მოუგვარებელი საკითხის დროულად გადაწყვეტას. მთავარი საქმე კი საწარმოში ელოდება, საქსოვ მანქანებთან დაუღალავად შრომობს და ერთ წუთს მოცლა არა აქვს. მან ხომ მშობლიური საწარმოს გამშვენიერებაზე, მის კეთილმოწყობაზეც უნდა იზრუნოს.

სურათებზე: დელეგატი ფიქრობს; საწარმოში ბევრი საქმეა; ნ. გელდიაშვილი ესაუბრება სამუშაოთა მწარმოებელს ტარიელ აპრიამაშვილს.

ა. სააკოვის ფოტო.

შეხვედრა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ხალხის კულტურული და სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის დამთავრება. ამ უდიდეს შემოქმედებითს შრომაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, კულტურის მუშაკები, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, პოლიგრაფისტები. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს ჩვენმა ხალხმა თავის ისტორიის მანძილზე პირველად მიიღო მშობლიურ ენაზე უნივერსალური გამოცემა, რომელმაც ასახა ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის უველა ძირითადი დარგი, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსული და აწმყო.

6 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი შეხვდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის კოლექტივს. მან გულთბილად მიულოცა ყველა მშრომელს უნივერსალური გამოცემის დამთავრება, რომელსაც სამართლიანად უკავია განსაკუთრებული ადგილი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

გაიმართა დაინტერესებული საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ შემოქმედი ინტელიგენციის — ჩვენს ქვეყანაში ახლა მიმდინარე გარდაქმნის აქტიური მონაწილის აქტუალურ ამოცანებს. ღირსეულად შეაფასეს დიდი, შეთანხმებული კოლექტივის მრავალი წლის შრომა, რომელსაც სათავეში უდგას პოეტი აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. მისმა დიდმა ავტორიტეტმა და ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის პოსტზე დაუცხრომელმა საქმიანობამ უზრუნველყო ამ ეროვნული საგანძურის გამოცემის წარმატებით დამთავრება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის დამთავრება დაემთხვა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელს — მისი დაბადების 150 წლისთავს. დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ერთ დროს ოცნებობდა იმ დღეზე, როცა საქართველოს ეყოლებოდა თუნდაც რამდენიმე სწავლული ინჟინერი და აგრონომი. დღეს რესპუბლიკის 19 უმაღლესი სასწავლებელი ყოველწლიურად ამზადებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისთვის 15 ათასამდე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე მომხდარი რევოლუციური გარდაქმნები, ყველა მისი მიღწევა ყოველმხრივ და ღრმად ასახა ენციკლოპედიის ტომებში.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსვლა ისევე როგორც თავის დროზე „დიდა ენისა“ გამოცემა, — ეს არის მოვლენა, რომლის მნიშვნელობა ძნელია ჯეროვნად არ შეაფასო. ეს უნიკალური გამოცემა კიდევ ერთხელ ადასტურებს ხალხის დიდ სულიერ პოტენციალს, რაგდან იგი ჩვენი ეროვნული კულტურის — სოციალისტური შინაარსისა და ინტერნაციონალური სულისკვეთების კულტურის მაღალი დონის მაჩვენებელია, წარმატებით რომ ვთარგდა ილია ჭავჭავაძის სხვა კულტურებთან ერთად. ამ მრავალტომიან გამოცემაზე, აღნიშნეს შეხვედრის მონაწილეებმა, აღიზრდება არაერთი ახალგაზრდა თაობა, რომელიც მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს იმათ, ვინც ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნის სათავეებთან იდგა. თავისი შრომით უწყობდა ხელს მის დროულ გამოცემას. ეს გამოცემა ერთ-ერთი საუკეთესოა, რომელიც შესრულდა მაღალ იდეურ-სამეცნიერო, მხატვრულ-პოლიგრაფიულ დონეზე მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ენციკლოპედიის გამოცემა დამთავრდა, მაგრამ მთავარ სამეცნიერო რედაქციაში შემოქმედებითი მუშაობა გრძელდება. გამმეორებით გამოსცემენ ტომებს „საქართველოს სსრ“ ქართულ და რუსულ ენებზე. წელს გამოვა სამი ლექსიკონი, რომელთა გამოცემა ხორციელდება ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად. ეს არის საქართველოს, სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული ლექსიკონები. აპირებენ ლექსიკონის „უუშათა პროფესიის“, „პოლიტიკური ლექსიკონის“ გამოშვებას. მომდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა სამედიცინო, იურიდიული, ფილოსოფიური, სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონების გამოცემისათვის. მკითხველები მიიღებენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების მრავალტომიან აღწერილობას, ენციკლოპედიას „თბილისი“, მცირე ენციკლოპედიას „საქართველო“, მოკლე ენციკლოპედიურ ლექსიკონს.

დასახულია გამოიცეს ლიტერატურული ენციკლოპედიები, კერძოდ, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიები.

რედაქციის კოლექტივის სახელით პოეტმა აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ უნივერსალური გამოცემის წარმატებით დამთავრებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის, ენციკლოპედიის მუშაკთა შრომის დიდი შეფასებისათვის. მან განაცხადა, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთელი კოლექტივი კვლავაც დაუთალავად იშრომებს სამშობლოს, მთელი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის საკეთილდღეოდ.

(საქინფორმი).

ᲓᲦᲔᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

◆ **რეპორტაჟი ᲕᲔᲚᲐᲮᲔᲚᲘᲫᲔᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲠᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔᲐᲜ — ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲓᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ.** (მე-2 გვ.).

◆ **ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.** (მე-3 გვ.).

◆ **ᲠᲝᲪᲐ ᲗᲘᲗᲛᲐ ᲡᲬᲠᲝᲕᲡ ᲐᲠᲐᲗᲘᲗᲛᲐᲡᲐ — ᲡᲐᲠᲬᲘᲐᲜᲘ „ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲣᲚᲘ.** (მე-4 გვ.).

◆ **ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲜᲝ ᲓᲐᲠᲑ

ოქტომბრის იუბილეს — ღირსეული შეხვედრა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მილოდ დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის თბილისისა და გორის საქალაქო კომიტეტების მუშაობის თაობაზე.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისისა და გორის საქალაქო კომიტეტები ეწევიან გარკვეულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას, რომლის მიზანია დიდი ოქტომბრის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის მომზადება. მშრომელები მთელ ძალისხმევას ახმარენ სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთორმეტე ხუთწლედის დავალებების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პრაქტიკულ რეალიზაციას. ყველგან გაიშალა მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და ახსნა-განმარტებისათვის, ფართოვდება შრომითი მეტოქეობა ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

პარტიის საქალაქო კომიტეტები, მათი საქვეუწყები რაიკომების აპარატები საქმიანობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მუშაობის ყაბინეტური სტილი, რაც იწვევს მათს მოწყვეტას ძირეულ პარტიული რგოლებისაგან. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი რიგი მდივნები, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების აპარატების მუშაკები ჯერჯერობით ვერ დაეუფლნენ მართვის პოლიტიკურ მეთოდებს, კვლავ ეწევიან წვრილმან მეურვეობას, ძირეული რგოლების საქმიანობის ზედმეტ რეგლამენტაციას. ამავე დროს, პარტიული ორგანოების, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თვალთახედვის გარეთ რჩება მოსახლეობის ბევრი საჭირბოროტო საკითხი.

მასების ნდობის განმტკიცებას, ნამდვილი დემოკრატიზაციის განვითარებას, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ზრდას ხელს არ უწყობს ადმინისტრირების პრაქტიკა, ბიუროკრატიული მიდგომა მიმდინარე, მათ შორის სოციალური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტისადმი, რაც მნიშვნელოვანწილად ახასიათებს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მუშაობას. ყოველმხრივ შეიარაღებული ვერ შეხვდნენ გარდაქმნის, საზოგადოებრივი შეგნების სწორი ჩამოყალიბების ამოცანების გადაწყვეტას პარტიული კომიტეტის იდეოლოგიური რგოლები. პრაქტიკულად დასახულ პრობლემებს მოწყვეტილი აღმოჩნდა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაცია. მის ხელმძღვანელებს სათანადო ავტორიტეტი არა აქვთ მოხვეჭილი ახალგაზრდობაში, გავლენას ვერ ახდენენ სწორი ღირებულებრივი და მსოფლმხედველური ორიენტაციის ფორმირებაზე, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გამომუშავებაზე. სერიოზული ნაკლოვანებანია გორის გაერთიანებული გაზეთის „გამარჯვების“ მუშაობაში.

როგორც გორში, ისე თბილისში აღმოფხვრილი არ არის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, სხვა სამართალდარღვევების შემთხვევები. პრაქტიკულად არ წარმოებს გამფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა შრომთან კოლექტივებში. ამან თავი იჩინა, კერძოდ, წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომელიც დაკავშირებული იყო იმ ხმების გავრცელებასთან, თითქოს შეიცვლებოდა ქალაქის ცენტრალური მოედნის უკვე ჩამოყალიბებული სახე. სიტუაციის გამწვავების ხელი შეუწყო საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობის გაუაზრებელმა, ნაჩქარევმა მოქმედებამ, რომელიც განახორციელა აქტივთან მოუთათბირებლად, მთელ რიგ შემთხვევებში კი პარტიული ეთიკისა და ტაქტის დარღვევამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საქართა ყველგან დაამკვიდროს გარდაქმნის სულისკვეთება და იდეები, გააღრმაოს ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციის პროცესი, გააფართოოს საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, ინიციატივა, გააძლიეროს ბრძოლა კონსერვატიზმის, ბიუროკრატიზმის, ინერციის, სხვა უძრაობისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ამ მუშაობაში გამოიყენოს დიდი ოქტომბრის იუბილესათვის მზადების დამრაზმველი ფაქტორი.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მუშაობა არასაკმარისად ცნეს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს, მის პირველ მდივანს დ. გ. ჩუბინიშვილს მიეთითათ, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ ორგანიზაციულ-პარტიულ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში, შეიმჩნევა ნაჩქარევობის, ერთპიროვნულად, პარტიულ აქტივთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებთან განუხილველად მიღებულ მთელ რიგ გადაწყვეტილებათა მოუფიქრებლობის ელემენტები, რომ აკლიათ კოლეგიურობა, თვითკრიტიკულობა, პარტიული ტაქტი, მუდმივ ყურადღებას არ იჩენენ ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, ობიექტურად არ იფასებენ მიმდინარე პროცესებს.

პარტიის თბილისისა და გორის საქალაქო კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ პოლიტიკური, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, რათა უზრუნველყონ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობის სისტემურობა, საქმიანი მიზანმიმართულება, მიღწეონ, რომ ყველგან პმოიფხვრას ფორმალიზმი, მოჩვენებითობა, პარადულობა; მაქსიმალურად გამოიყენონ საიუბილეო წელი გარდაქმნისა და დაჩქარების საარსებო ამოცანების გადასაწყვეტად.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა დღეინადგ ზარდონ პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობა, გააძლიერონ პროპაგანდისტული და საგაზეთაო მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მიერ დასახული ამოცანების ახსნა-განმარტებისა და უზრუნველყოფისათვის.

საჭიროდ ცნეს სარწმუნოდ და დამაჯერებლად გაუწიონ პროპაგანდა სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამოცდილებას, დღეინადაგ და საგნობრივად აღზარდონ მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, საგანგებო ყურადღება დაუთმონ მშრომელთა აღზრდას ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ერთიანი საბჭოთა ოჯახისადმი კუთვნილების სულისკვეთებით.

დადგენილებაში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგ ვსწავლობდეთ და ვაყალიბებდეთ საზოგადოებრივ აზრს, გულახდილ დიალოგს ვაწარმოებდეთ ადამიანებთან, ვზრდიდეთ სამეურნეო ხელმძღვანელთა მომთხოვნელობასა და პასუხისმგებლობას შრომითს კოლექტივებში აღმზრდელობითი მუშაობის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მდგომარეობისათვის. უნდა გავზარდოთ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, დეპუტატების როლი და პასუხისმგებლობა მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების ობიექტური და ოპერატიული დაკმაყოფილების საზოგადოებრივად საინტერესო, მისაღები და მოსამზადებელი გადაწყვეტილებების შესახებ მათი ინფორმირების საქმეში. დღეინადგ უნდა წარგმართავდეთ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, ორიენტირად ვუსახავდეთ მათ ცოცხალ მუშაობას ახალგაზრდობასთან.

რესპუბლიკის სხვა რეგიონებისათვისაც აქტუალური ამ მოთხოვნების გათვალისწინებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ყველა საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტს დაავალა დიდი ოქტომბრის იუბილეს დღესასწაულისათვის მოსამზადებლად მუშაობას მტკიცედ მიანიჭონ უფრო სისტემური და საქმიანი ხასიათი, ამასთან მაქსიმალურად გამოიყენონ იუბილესწინა (პერიოდი მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ზრდისათვის, კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის. ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში ისინი უნდა ითვალისწინებდნენ მშრომელთა აზრს, ოპერატიულად და საჯაროდ რეაგირებდნენ მათს მოთხოვნილებებზე; სოციალური და საყოფაცხოვრებო საჭიროებების უზრუნველყოფის სფეროში წამოჭრილ პრობლემებზე; გამორიცხონ ვოლუნტარიზმის, ადმინისტრაციული ყოყოჩობის ყოველი გამოვლინება, მკაცრად დაიცვან პარტიული ეთიკა და ტაქტი, უზრუნველყონ საზოგადოებრივი ნორმებისა და მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურების, არამობიექტურობის, უპრინციპობის გამოვლინებებისაგან. პარტიული ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოების მუშაობა უნდა შეეფასოთ შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის, სამართალდარღვევებთან ბრძოლის მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს პროფსაბჭოს, ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, იდეოლოგიურ სამინისტროებსა და უწყებებს, შემოქმედთა ასოციაციებს, სამეცნიერო დაწესებულებებს რჩება მიეცათ გააქტიურონ მუშაობა მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო პირობების, სოციალური უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის, მთელი ყურადღება მიაპყრონ ძირეულ კომკავშირულ რგოლებს, სასწავლებლებს, შრომითი კოლექტივების ახალგაზრდულ ფენას, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ჩამოუყალიბონ პოლიტიკური და სოციალური მოწიფულობა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა თავიანთი ქვეყნისა და საქმეებისათვის, აგრეთვე სწორი ღირებულებრივი ორიენტაცია, მტკიცე მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობრივი პოზიცია, მეტად იზრუნონ მშრომელთა მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, თავისუფალი დროის, გონივრული და სასარგებლო დასვენების ორგანიზაციისათვის.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს, თბილისისა და გორის საქალაქო გაზეთებს დაევალათ დამაჯერებლად და ღრმად აჩვენონ საბჭოთა ხალხის ისტორიული გამოცდილება, დღევანდელობის რევოლუციურ გარდაქმნებთან ოქტომბრის მიღწევათა დიალექტიკური კავშირი, ხელი შეუწყონ მშრომელთა სოციალური აქტიურობის ზრდას გარდაქმნის პროცესში, დარაზმონ ისინი მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში იმ მასშტაბური მიზნების რეალიზაციისათვის, რომლებიც პარტიამ დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი: დავაჩქაროთ და გავაღრმავოთ გარდაქმნა

საკუთარი ღირსების შეგნებით

რეპორტაჟი ჭენახებიდან და მინდვრებიდან

გაგანია სიცხეა ივრისპირეთში და ალაზნის ველზე, მაგრამ მთელი წლის ნაჯაფარს — მოწეულ მოსავალს — მინდვრად ვინ მიატოვებს, ანდა ნასეტყვ ვენახებს ვინ გაავერანებს?! სიცხე რას მოქვიაო, ზაფხული იმისაა, მზე უნდა აკუნებდეს, სარჩო-საბადებელის მოყვანა ისე იოლად სად თქმულაო, — ამბობენ მემინდვრეები, მევენახეები თუ მეცხოველეები.

სიღნაღის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ დავით ალადაშვილმა დაასახელა ციფრები, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობათა საქმიანობის დასახასიათებლად შთამბეჭდავია: 2.500 ჰექტარი ვენახი დაისეტყვა გაზაფხულზე, მაისის დამდეგს ვენახების მკურნალობას დიდი შრომა შეალიეს მევენახეებმა და ახლა ცოტა გამოკეთდა ვაზი. ამას ზედ დაერთო თავთავიანების მკა. 2.100 ჰექტარზე მეტი ქერი უკვე აღებულია. საშუალოდ 26 ცენტნერი მოსავალი მივიღეთ, მცირეთი, მაგრამ ერთი ცენტნერით მაინც გადავამეტეთ საგეგმოს. ახლა ხორცლის ყანებს ვმკით. მოსავლიანობისა და მარცვლის დამზადების გეგმა შესრულდება. დაისეტყვა, მაგრამ ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებასაც ვფიქრობთ, რადგან ალაზნის ველზე ვაზმა უხვად მოისხა, დასეტყვილიც შესამჩნევად გამოკეთდა, კარგი მოვლით ახლად გამოტანილმა ყლორტებმა მტევნები მოისხა. ახლა მევენახეთა საზრუნავი ის არის, რომ ნაგვიანევად გამოტანილი მტევნები დასრულდეს და დროზე დამწიფდეს.

ივლისის მწველი მზით გარუჯული კაცები თუ ქალები, მუშაობისა თუ შესვენების დროს, დღევანდელ მჩქეფარე ღელეთა სიმძაფრესა და საფიქრალს ფიქრობენ და ბჭობენ. ვენახების მწკრივების მხარიმხარ მიუყვებიან, ვაზებს ფურჩნიან და თან ერთმანეთს გადაულაპარაკებენ ხოლმე, ზოგნი კი ცხარედ კამათობენ.

— ლუიზა მაზიაშვილი გახლავართ, — ამბობს ვენახიდან გამოსული შუახნის ქალი, ხელები გადაუბანია და იმშრალებს, — ამიტომ გაგეცანით, რომ ბრიგადირმა მითხრა, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან არის და თქვენთან საუბარი სურსო. ისიც კარგად ვიცი, რაც უნდა მკითხოთ...

გავოცდი — საიდან იცის ამ ქალმა, რისთვის მოვედი ვენახში, რაზე უნდა ვესაუბრო; გუნება წამიხდა, გავიფიქრე, ძველებურად, წინდაწინ გაგაფრთხილა თავმჯდომარემ ან პარტბიუროს მდივანმა და ასე იმატომ დამიწყო საუბარი-მეთქი, მაგრამ შეეცდი: დაწყებით კი დაიწყო (თურმე, უბრალოდ გაგვეცნო), მაგრამ მერე ერთობ დინჯად გველაპარაკა, პასუხს აგვიანებდა, ეტყობოდა აზრებს ალაგებდა.

— მოდით, პირდაპირ გკითხავთ, რაც მაინტერესებს, — ვეუბნები ლუიზას, — ალბათ გაიცანით მ. გორბაჩოვის მოხსენებას. მან სოფელსა და სოფლის მეურნეობაზე ბევრი საინტერესო რამ თქვა; მე თქვენთან სასაუბროდ იმიტომ კი არ მოვედი, რომ შეკითხვაზე ძველებურად, წინდაწინ დაზეპირებული, პლაკატური სტყვებით მელაპარაკოთ. მოდით, უბრალოდ, მეზობლურად (მე წარმოშობით ბრდღვინველი ვარ, თქვენი მეზობელი) ვისაუბროთ, გაბედულად ვთქვათ საფიქრალი; ახლა ხომ მართლაც, გარდაქმნის ამ პერიოდში, თავისუფლად ლაპარაკს არავინ გვიშლის, არც ვინმე დაგვძრახავს, თუ რაიმე შეგვეშალა.

— დაშლით არც ადრე გვიშლიდა ვინმე, მაგრამ ჩვენ თვითონ შეზღუდულად ვგრძნობდით თავს, რადგან გვეგონა, რომ სასოფლო საქმეებზე ხელმძღანელებმა უნდა იფიქრონ და ილაპარაკონ, ჩვენ ვინ გვეკითხებოდა...

— ხომ დარწმუნდით, რომ თქვენი, მშრომელი ადამიანის აზრი ახლა ყველას აინტერესებს?

— როგორ არა. გაზეთებით, ტელევიზიით სულ ამას მოგვიწოდებენ, გაბედულად გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებანი...

— ჰოდა, მოდით, გულწრფელად მიპასუხეთ შეკითხვებზე.

— კარგი, ასე იყოს...

— ივნისის პლენუმმა ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი აღძრა. გარდაქმნის დაჩქარებით ბევრი პრობლემა მშრომელთა სასიკეთოდ გადაწყდება. თქვენ რას ფიქრობთ გარდაქმნაზე?

— რას უნდა ვფიქრობდე. გარდაქმნა ყოველი ადამიანის საერთო საქმისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესებით უნდა დავიწყოთ...

— როგორ ფიქრობთ, თქვენს კოლმეურნეობაში გარდაქმნა იგრძნობა?

— რატომაც არა... რა დასამალია, წინათ კოლმეურნეობის საქმეზე გულაყრილები ვიყავით, რადგან ვინ რამდენს მივიღებდით ერთობლივი შრომისათვის, არ ვიცოდით. ახლა კი საიჯარო ბრიგადაში ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა. ყველა თავისი შრომის შედეგის მიხედვით მიიღებს.

— მაგალითად?

— მე და ჩემი მეუღლე ვალიკო, მევენახეები ვართ. კაცდღეზე მარშან რვა მანეთამდე მივიღეთ. ვინც უმიზეზოდ სამუშაოს არ აცდენდა, მას საკმაოდ აუნაზღაურდა შრომა. ორივემ მარშან ათი ათას მანეთზე მეტი მივიღეთ. გარდა ამისა, საკარმიდამოდანაც გვქონდა შემოსავალი. ათას კვადრატულ მეტრზე ვაზი გვაქვს გაშენებული, საიდანაც კარგ შემოსავალს ვიღებთ. 2.500 კვადრატულ მეტრ ფართობზე კი სმინდი და ლობიო მოვიწეიეთ. ლობიო იმდენი მოგვყავს, რომ ვყიდით კიდეც. სმინდს კი ძროხისა და ღორის საკვებად ვიყენებთ; გვყავს ძროხა თავისი ხბოთი, ღორი, ცხვარი და ფრინველი. ისე რომ, შეძლებულად ვცხოვრობთ ჩვენი ალალი შრომით და ჩვენს დაოჯახებულ შვილებსაც ვეხმარებით, არ გეგონოთ, უჭირდეთ, მაგრამ ჩვენი ნაშრომის სახლაურად იმდენს ვიღებთ, რომ შვილებსაც ვუწყალდებთ, რადგან ისინი ჩვენოდენს ვერ იღებენ.

მევენახე ქალთან საუბარში ისე გავერთეთ, რომ ვერც კი შევნიშნეთ, ფარდულში როდის შემოვიდნენ მევენახეთა ბრიგადირი ტარიელ მაზიაშვილი, სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველი მიხეილ ჯანგულაშვილი, ენტომოლოგი ზაურ ფირაშვილი, მევენახეობის აგრონომი ელიზბარ ფირაშვილი, შაბიამნის ხსნარის შემამზადებლები ნუკრი ბახტურიძე და ვასილ ჯანგულაშვილი, ტრაქტორისტი თემურ მაზიაშვილი, შოფერი გიგი ჯანგულაშვილი. ისინი საუბარში ჩაებნენ.

— ლუიზა, ბარე ისიც თქვი, რაც გვიჭირს, გაზეთში დაიწერება და იქნებ ყურადღება მოგვაქციონ, — უთხრა ტრაქტორისტმა.

— რა ვთქვა, რომ არ ვიცი?

— მანქანები საკმაოდ გვაქვს, მაგრამ სათადარიგო ნაწილები არ გვყოფნის?

— მართლაც ასეა, — დაუდასტურა ლუიზამ.

— არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარგა ხანია ფართომწკრივებიანი ვენახები გავაშენეთ, შექანიზაციას აქ კარგად ვიყენებთ, მაგრამ მაინც ვზარალობთ. ვზარალობთ, და იცით რატომ? ვერა და ვერ გვიშოვნია ვანიერი ბეჭითნი, რომ მწკრივთაშორისი ტრაქტორის ერთხელ გაგლით მოვხნათ. ამიტომ ვიწრო გუთნებით თითოეულ მწკრივში ორჯერ გავატარებთ ხოლმე ტრაქტორს, ეს ორჯერ ფასდება ერთ ხნად. ეს ერთ ხნად ფასდება ბიუროში, ბანკში, ბანკიდან ბუღალტერიაში, ბუღალტერიიდან ბრიგადირამდე, ბრიგადირიდან ბრიგადის აღმრიცხველამდე, ბრიგადის აღმრიცხველიდან ბრიგადის ენტომოლოგამდე, ენტომოლოგიდან ბრიგადის ტრაქტორისტამდე, ტრაქტორისტიდან ბრიგადის ბუღალტერამდე, ბუღალტერიიდან ბუღალტერიამდე, ბუღალტერიიდან ბანკამდე, ბანკიდან ბიუროამდე, ბიუროდან ბანკამდე, ბანკიდან ბუღალტერიამდე, ბუღალტერიიდან ბუღალტერამდე, ბუღალტერიიდან ბრიგადირამდე, ბრიგადირიდან ბრიგადის ენტომოლოგამდე, ენტომოლოგიდან ბანკამდე, ბანკიდან ბიუროამდე, ბიუროდან ბანკამდე, ბანკიდან ბუღალტერიამდე, ბუღალტერიიდან ბუღალტერამდე, ბუღალტერი

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲕᲔᲜᲐ, 8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲯᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ. ანატოლი ტიუპაევი და ვიტალი ჩუმესეევი იუწყებიან: დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და ავსტრიის ფედერალური კანცლერის ფ. ვრანიცკის მოლაპარაკება. ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ კეთილმოსურნეობისა და გულახდილობის ატმოსფეროში განიხილეს საფუძვლიანად სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ავსტრიის თანამშრომლობის მდგომარეობა და პერსპექტივები, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ფართო წრის საკითხები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ავსტრიის კანცლერმა გამოთქვეს კმაყოფილება ორი ქვეყნის ურთიერთობის მიღწეული დონის გამო, რომელსაც საფუძვლად უდევს ნდობა, თანასწორობა, ერთმანეთის პატივისცემა და ინტერესების გათვალისწინება. მხარეებმა განაცხადეს, რომ საჭიროა კვლავაც გაიფართოონ და გაიღრმავონ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის თანამშრომლობა, რაც შეესაბამება სსრ კავშირისა და ავსტრიის ხანგრძლივ ძირეულ ინტერესებს, მშვიდობისა და ევროპის უშიშროების განმტკიცების საქმეს.

აზრთა გაზიარების დროს ორივე ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა წარუვალი მნიშვნელობა აქვს 1955 წლის სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ და მის მიერ მიღებული მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსს, რომელიც ორი ქვეყნის კეთილი ურთიერთობის საფუძველს შეადგენს.

საბჭოთა მთავრობის სახელით ნ. ი. რიჟკოვმა ფედერალური კანცლერი ფ. ვრანიცკი ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია საბჭოთა კავშირში. მოწვევას დათანხმდნენ.

ავსტრიის ხელმძღვანელებს გააცნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი საბჭოთა ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ, აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის გაკაჟებურებისა და გაფართოების საქმეში.

ნ. ი. რიჟკოვმა და ფ. ვრანიცკიმ აღნიშნეს, რომ სასურველია უფრო აქტიურად აამჭქიდონ სსრ კავშირისა და ავსტრიის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიცაა სწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაცია, სპეციალიზაცია, ლიცენზიების გაცვლა. პრაქტიკული თვალსაზრისით განიხილეს სამრეწველო თანამშრომლობის დარგში ზოგიერთი კონკრეტული საკითხი.

ჰელსინკის საბოლოო აქტის დებულებათა სულისკვეთებით მხარეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ გაცვლის ინტენსიფიკაციას მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინფორმაციის, ადამიანებს, პროფკავშირებს, ახალგაზრდულ და სხვა ორგანიზაციებს შორის კონტაქტების გაფართოების დარგში.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს მხარეებს ერთი აზრი ჰქონდათ, რომ ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში საჭიროა ყველა სახელმწიფოს პასუხისმგებლური მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებას, საყოველთაო მშვიდობის, ხალხთა ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

ნ. ი. რიჟკოვმა ფ. ვრანიცკის გააცნო საბჭოთა კავშირის კომპლექსური პროგრამა განიარაღების საკითხებზე, ბირთვული და კოსმოსური განიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე აქმის ვითარება. ფ. ვრანიცკიმ განაცხადა, რომ ავსტრია იწონებს საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის მშვიდობიან მისწრაფებას და კერძოდ, საბჭოთა წინადადებას ევროპაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, და გამოთქვა იმედი, რომ წარმატებით დასრულდება მოლაპარაკება ჟენევაში ამ საკითხზე.

მხარეებმა განაცხადეს, რომ მათი ქვეყნები მზად არიან კვლავაც ყოველნაირად შეუწყონ ხელი ევროპის პროცესის, როგორც ევროპის უშიშროების, სტაბილურობისა და თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორის, განვითარებას.

მოლაპარაკებამ მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

◆ ᲒᲬᲠ

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲑᲝᲜᲜ. მ. ს. გორბაჩოვისა და რ. ფონ ვაიცზეკერის შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია.

„არდ“ და „ცდფ“ ტელეპროგრამებმა დაწვრილებითი რეპორტაჟები გადმოსცეს კრემლიდან. ყველა წამყვანი გაზეთი ამ მოვლენის შესახებ ცნობებს პირველ გვერდზე აქვეყნებს. „უეჭველია, — ხაზგასმით აღნიშნა „არდ“ ტელეპროგრამამ, — ეს საუბარი ვიზიტის მთავარი მოვლენა გახდა. იგი მიმდინარეობდა გულახდილ, სერიოზულ და ნდობით აღსავსე ვითარებაში“. თავის მხრივ „ცდფ-ს“ მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ მსოფლიო საქმეების განვითარებაში. მათი ურთიერთობის სტაბილურობა ნიშნავს ევროპის სტაბილურობას, შეესაბამება ამ ორი ქვეყნის, სახელმწიფოთა ევროპისა და მსოფლიო გაერთიანების ინტერესებს.

„ცდფს“ ტელეპროგრამამ გადმოსცა პრეზიდენტის განცხადება კრემლში საუბრის შემდეგ. „მოლაპარაკება, — განაცხადა მან, — გულახდილი, სერიოზული და ნდობით აღსავსე იყო. ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ საჭიროა გაგრძელდეს დიალოგი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი საერთო ევროპული სახლი. კონტაქტები გაგრძელდება“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის საფუძვლისმსახურებს ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა ექნება. ორივე სახელმწიფოს შეუძლია უაღრესად დიდი როლი შეასრულოს მსოფლიო განვითარებაში, ამასთან თავისი სისტემისა და თავისი კავშირის ერთგული დარჩეს. მათ შორის ურთიერთობის სტაბილურობა ნიშნავს სტაბილურობას ევროპაში, შეესაბამება თვით ამ ქვეყნების, სახელმწიფოთა ევროპისა და მსოფლიო გაერთიანების ინტერესებს, მოჰყავს „ცდფს“ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები.

„არდ“-ს ტელეპროგრამამ გადმოსცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლების — სტუდენტების, მუშების, მეცნიერ-მუშაკების, მოსწავლეების დისკუსია. „დარწმუნებული ვარ“. აღნიშნა დისკუსიის დროს რ. ფონ ვაიცზეკერმა, — რომ საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნა უდიდეს, ღრმა და ხანგრძლივ ზემოქმედებას მოახდენს. იმისგან დამოუკიდებლად, განხორციელდება თუ არა გამოცხადებული გეგმები დასახულ დროში, გარდაქმნის პროცესი აუცილებლად კვლს დატოვებს საზოგადოებაში, რომელმაც ისეთი უზარმაზარი ამოცანები დაისახა, როგორიც არის გარდაქმნა. ამ პროცესს, უეჭველად, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა თაობისათვის“.

გაზეთი **„ᲖᲔᲡᲢᲤᲔᲚᲘᲨᲘ ᲠᲣᲜᲓᲬᲐᲣ“** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეხვედრამ ახალი სათავე დაუდო ორი ქვეყნის ურთიერთობას. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული, რესპუბლიკის კარგი ურთიერთობა, აღნიშნავს გაზეთი, „ყოველთვის პოზიტიურ გავლენას ახდენდა ევროპაზე“. „გენერალ-ანეიგერი“ წერს: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში ახალი ფურცელი გადაიშალა გორბაჩოვისა და ფონ ვაიცზეკერის შეხვედრის შემდეგ. ეს ფურცელი პოზიტიური შინაარსს შეიძენს“.

◆ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲓᲔᲚᲘ. ინდოეთის მთავრობამ და ოპოზიციურმა პარტიამ მოუწოდეს ინდოელ ხალხს დაიცვან სიმშვიდე და არ წამოეგონ ძირგამომთხრელი ძალების პროვოკაციას, რომლებიც ცდილობენ გაამწვავონ ვითარება ქვეყანაში.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის თავმჯდომარეობით აქ გამართულ ერთობლივ სხდომაზე განხილეს პენჯაბისა და ჰარიანის შტატების, აგრეთვე მათი მიმდებარე რაიონების ვითარება, რომელიც მკვეთრად გამწვავდა ბოლო დროს ამის გამო, რომ სიქჰი ტერორისტები სასტიკად გაუსწორდნენ ავტობუსების მგზავრებს, რის გამოც დაიღუპა 76 კაცი. მიღებულ მიმართვაში მკვეთრად გმობენ ამ პირსისხლიან დანაშაულს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შურისძიების აქციებით პასუხის გაცემის ცდებს შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ სიტუაციის შემდგომი გამწვავება, რაც ხელს აძლევს ტერორისტულ დაჯგუფებებს.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს კონკრეტული ნაბიჯები, რომელთა მიზანია ექსტრემისტთა ახალი შეიარაღებული გამოხდომების თავიდან აცილება. მიღებულია გადაწყვეტილება ჰარიანზე გაავრცელონ პენჯაბში მოქმედი უშიშროების ლონისძიებანი.

◆ ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უარყო ფრანს პრესის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, თითქოს ტიბეტში დისლოცირებულ ჩინეთის არმიის ნაწილებს დაეხოცოთ ოცზე მეტი ტიბეტელი გლეხი. როგორც სინჰუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა საფრანგეთის სააგენტოს ცნობას უწოდა სიცრუე, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს ჩინეთის ეროვნულ შეკავშირებას და შუღლი ჩამოაგდოს ქვეყანაში.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲚᲐ-ᲠᲝᲨᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის ქალაქ ლა-როშელში დამთავრდა XV საერთაშორისო კინოფესტივალი. თუმცა ამ ფესტივალზე არ ანიჭებენ პრემიას, იგი ყველაზე პრესტიჟულ დათვალიერებათა რიცხვს განეკუთვნება, ვინაიდან საშუალებას აძლევს მაყურებელს გაეცნოს მსოფლიო კინოს სიახლეებს, გაიხსენოს წარსულის თვალსაჩინო ფურცლები.

ათი დღის განმავლობაში მაყურებელი დაესწრო ინდოეთის, იტალიის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, შვეიცარიის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ცნობილ კინემატოგრაფისტთა ფილმების ჩვენებას. ცალკე პროგრამა მიეძღვნა გამოჩენილი იტალიელი მსახიობის ანა მანიანის შემოქმედებას. საერთო ანგარიშით მაყურებელს ასზე მეტი ფილმი უჩვენეს.

მაგრამ, როგორც საფრანგეთის პრესა აღიარებს, ფესტივალის ცენტრალური მოვლენა გახდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა მიერ ბოლო წლებში გადაღებული ოცი მხატვრული ფილმის დემონსტრაცია. ეს ფილმები აჩვენეს სპეციალური პროგრამის — „ქართული პანორამის“ ფარგლებში. მათ შორის წარმოდგენილია თენგიზ აბულაძის, გიორგი შენგელაიას, ნანა ჯორჯაძის, ოთარ იოსელიანის, სხვა ცნობილი ოსტატების ნამუშევრები. განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ კინოსურათებს „მონანიებასა“ და „რობინზონიანა“, ანუ ჩემ ინგლისელ პაპას“, რომლებმაც მაისში მაღალი პრემიები დაიმსახურეს კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, აგრეთვე სხვა ნამუშევრებს: „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ჯარისკაცის მამა“, „ნატვრის ხე“, „იყო შაშვი მგალობელი“, „ფიროსმანი“.

ფესტივალზე ფრანგი მაყურებლები და სპეციალისტები შეხვდნენ საბჭოთა კინემატოგრაფისტთა დელეგაციას რეჟისორ ლანა გოგონაძის მეთაურობით. გაიმართა მრგვალი მაგიდები, დისპუტები, რომელთა დროსაც მთ ილაპარაკეს საბჭოთა კავშირში კინოს განვითარებაზე, საბჭოთა კინემატოგრაფში მიმდინარე გარდაქმნაზე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაობაზე.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

◆ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

რომი. ამ მქვეყნის ისტორიაში პირველად ცხენებზე ამხედრდნენ პოლიციელი ქალები. „წესრიგის დამცველის“ ფორმაში გამოწყობილი ამორძალები თვალყურს ადევნებენ იტალიის დედაქალაქში ტრანსპორტის მოძრაობას და წესრიგს.

სურათზე: მომბიბლავი მხედრები დედაქალაქის ცენტრში.

ᲐᲜᲡᲐ-ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

◆ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲣᲨᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. „გაფრთხილდი, თუ გსურს ცოცხალი დარჩე!“ ამალია ეხტერი მოულოდნელობისაგან შეკრთა, როცა მას უურში ეს სიტყვები ჩასძახეს. როცა მოიხედა, მხოლოდ ორი სწრაფად მიმავალი მამაკაცის ზურგებს მოკრა თვალი. მუქარის აზრი მას კარგად ესმის: სწორედ ამ დღეებში ახალგაზრდა ქალმა დაასფლავა თავისი ქმარი — კომუნისტი, პროფკავშირული წინამძღოლი ოსვალდო ვილიანუევი. მას კეფაში ესროლეს ბუენოს-აირესის ერთ-ერთ გარეუბანში. პოლიციის გამოძიება მაშინვე ჩიხში მოექცა, რადგან მკვლელებს არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ დანაშაულის ადგილზე. მაგრამ ვილიანუევის ქვრივი, მისი პარტიელი ამხანაგები, თანამოსაქმენი მოითხოვენ ძიების გაგრძელებას. სწორედ ამას მოჰყავ მუქარა, ანგარიშს გაგისწორებთო.

ულტრამემარჯვენეები ახალ შეტევაზე გადმოდიან, შეშფოთებით წერს არგენტინის პრესა. ამასვე აცხადებენ ხელისუფალთა ოფიციალური წარმომადგენლები, თანაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რეაქციის მიზანია დათესოს შიში არგენტინელთა შორის

აი უკვე რამდენიმე დღეა არგენტინის კომპარტიის გაზეთის „კე პასას“ რედაქციაში განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი. ანონიმური პირები ემუქრებიან ჟურნალისტებს: „გვეფრთხილდით, მალე ყველას გაგგზავნით „ჩაკარიტულნი“ — ასე ეწოდება ბუენოს-აირესის ერთ-ერთ სასაფლაოს, სადაც ამას წინათ შეურაცხყვეს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ხუან დომინგო პერონის საფლავი. „კე პასას“ ხელმძღვანელობამ დეპეშა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელშიც მოსთხოვა ხელისუფალთ დაადგინონ დამნაშავეთა პიროვნება, დაიცვან კომუნისტური ყოველკვირეული ჟურნალისტთა სიცოცხლე და შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები.

◆ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ

ᲩᲝᲜ ᲓᲣ ᲮᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲣᲙᲐᲜ ᲘᲮᲔᲕᲡ

ᲢᲝᲙᲘᲝ. დღეს დილით მთელ სამხრეთ კორეაში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი 20 წლის სტუდენტის ლი ხან იოლეს პატივსაცემად, რომელიც დაიღუპა ცრემლსადენ გაზიანი ხელყუმბარის ნამსხვრევით თავში მიღებული სასიკვდილო ჭრილობის შედეგად. ასი ათასზე მეტი კაცი მოვიდა უნივერსიტეტ „ენსეში“, სადაც იგი სწავლობდა. მიტინგის მონაწილეებმა ფიცი დადეს, რომ არ შეწყვეტენ სამხრეთ კორეაში დემოკრატიული რეფორმებისათვის ბრძოლას. ლი ხან იოლე გადაასვენეს ქალაქ კვანჯუში, სადაც მას დაკრძალავენ პროამერიკული დიქტატურის წინააღმდეგ 1983 წლის აჯანყების მონაწილეთა გვერდით.

რეჟიმმა, რომელიც იძულებულია დაუთმოს ოპოზიციის მოთხოვნებს, დღეს გამოაცხადა პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია. განთავისუფლდება მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლების 2335 მონაწილე, ოპოზიციური ორგანიზაციების ლიდერები. ოფიციალურად დართეს ნება ოპოზიციის წამყვან ლიდერს კიმ ტე ჯუნს დაუბრუნდეს პოლიტიკურ საქმიანობას.

სამხრეთ კორეის ჩონ დუ ხვანის რეჟიმი წაადგა დამსჯელრეპრესიული აპარატის სრულ დემორალიზაციასა და გახრწნას. ივნისის ქუჩის ბრძოლების დროს ბევრმა პოლიციელმა უარი თქვა დემონსტრანტებისათვის ესროლა ცრემლსადენ გაზიანი ხელყუმბარები. მოვლენათა თვითმხილველნი ამტკიცებდნენ, რომ უშიშროების ძალების ოფიცრები ძლივს აკავებდნენ თავიანთ ხელქვეითებს ქუჩების ჩამკეტ კორდონებში. მობილური პოლიციის რაზმის მეთაურმა სო ტე ხვანმა სიკვდილის პირას მიიყვანა ცემით თავისი ხელქვეითი, რიგითი სონ იან გუნი, რომელმაც უარი თქვა შეესრულებინა ბრძანება დემონსტრაციის ჩახშობის შესახებ.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲮᲚᲐ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისადმი. სწორედ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანწილად წყდება საკითხი, გამოიყენებენ თუ არა ისტორიულ შანსს შეიცვალოს მსოფლიოს ვითარების კონფრონტაციული განვითარება, გადაიდგას პირველი, ამიტომ განსაკუთრებით ძნელი და საჭირო ნაბიჯი ბირთვული საფრთხისაგან, კაცობრიობის განთავისუფლების გზაზე. ახლა არის წინააღმდეგობები რეკიკავიკში მიღწეულ გაგებათა რეალიზაციისათვის, უწინარეს ყოვლისა, ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის, და შესაძლოა, ბირთვული განიარაღების სხვა კარდინალური საკითხების გამოც.

ასეთი მორიგების დადება იქნება არა მარტო წინ წაწევა უშიშროების განმსაზღვრელ დარგში, არამედ ხელს შეუწყობს კიდეც საბჭოთა კავშირ-ამერიკის და მთელი საერთაშორისო ურთიერთობის არსებით გაჯანსაღებას.

გასაგებია, რომ ესოდენ პასუხსაგები მომენტი მოითხოვს განსაკუთრებით პასუხისმგებლურ მიდგომასაც, აწონ-დაწონილ პოლიტიკას დიდსა და მცირე საქმეში. ყოველგვარ მოუფიქრებელ, მით უმეტეს სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონეზე განზრახ გაღვივებულ მტრობას შეუძლია ხელი შეუშალოს წინსვლას შეთანხმების მიღწევის გზაზე.

ეს ესმით ამერიკის შეერთებული შტატების უკიდურეს შემარჯვენე პოლიტიკურ წრეებსაც, რომლებმაც მიზნად დაისახეს რადაც უნდა დაუჯდეთ უკანასკნელ მომენტში მოგვიკეტონ შეთანხმება. ამბავში პასუხისმგებელ პირთა ბრალეულობა. მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია, რომ ხისდამშუშავებელ კომბინატში წლების მანძილზე ირღვეოდა ნედლეულის საწყობებში შენახვის წესები: იგი დაჩტაბელებული არ იყო, გროვებად ეყარა. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის არაერთგზის მიწერილობანი და ჯარიმის, მდგომარეობის გამოსწორებამდე კომბინატის საწარმოო საქმიანობის შეჩერების შესახებ ამ ორგანოს დადგენილების მიუხედავად, კომბინატის ხელმძღვანელობა არ ახორციელებდა ხანძარსაშიში სიტუაციის საღიკვიდაციო ეფექტიან ღონისძიებებს.

ახლა, როცა ზაფხულის სიცხე აძლიერებს ხანძრის გაჩენის საშიშროებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებმა განუხრელად უნდა დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ყველა წესი საწარმოებში, მოსავლის აღებაზე, ტყეებში, დასვენების ზონებში. უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე და არ დავუშვათ დაუდეგრობა ხანძარსაშიში ნივთიერებების შენახვისას, სხვადასხვა სამუშაოების შესრულებისას, რომლებიც უკავშირდება შიდაწვის ძრავების, შესადუღი აპარატების გამოყენებას ადვილდაალებადი საგნების უშუალო სიახლოვეს.

შემოხვევის ადგილზე იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ა. ნ. გლურჯიძე, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საქინფორმი).

ᲕᲭᲐᲘᲠᲐᲗᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲐᲡᲨᲘᲡᲛᲒᲛᲒᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲐᲣᲠᲘ

ᲪᲔᲪᲚᲗᲐᲜ არ ხუმრობენო, — ამ ჭეშმარიტების მთელი სიმწარე საკუთარ თავზე გამოსცადეს რუსთავის ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშაკებმა, სადაც დიდი ხანძარი გაჩნდა მერქნის საწყობში. თუ არა დანაშაულებრივი, მაშ, რა შეიძლება ეწოდოს საწარმოს ხელმძღვანელობის თავდაჯერებას, რომელმაც დაუშვა ტერიტორიის ჩახერგვა და საწარმოო მოედანზე ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების წესების უხეში დარღვევა, რამაც საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

კვამლი, ხოლო შემდეგ ალი საწყობში გაჩნდა 7 ივლისს საღამოს რვის ნახევარზე. ცეცხლი გაუჩნდა ტექნოლოგიური შეშის გროვას, რომელსაც იყენებდნენ მერქნბურბუშელის ფილების გამოსაშვებად. საწარმოს მუშაკთა ძალებით ცეცხლის ჩაქრობა ვერ მოხერხდა. ერთ საათზე ნაკლებ დროში ალი მოიდო საწყობის მთელ ტერიტორიას. საფრთხე შეექმნა არა მარტო კომბინატის საამქროებს, არამედ მეზობელ საწარმოებს, ახლომდებარე სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს. ხანძრის ალიაკიდადაცოდ მოვიდნენ რუსთავის, თბილისის, გორდაბნის, ამიერკავკასიის რკინიგზის მეხანძრეთა დიდი ძალები. შუადამეს გადაცილებული იყო. როცა შეძლეს ხანძრის ლოკალიზება. ცეცხლის ჩაქრობა კი 8 ივლისის დილისათვის მოხერხდა. ხანძარმა გაანადგურა საწყობში შენახული ხე-ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიმდინარეობს ხანძრის მიზეზების გამოძიება, ზუსტდება მომხდარ ამბავში პასუხისმგებელ პირთა ბრალეულობა. ეს საკითხი ალბათ ადვილად ვერ ეცოდინებოდა ბ. ბ. ბ. ... ...

ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ სექტემბერს აგდამის რაიონის სოფელ მაჩარაზლის ბავშვები მივლენ ახალ სკოლაში, რომელიც მათი თანასოფლელის რაჰიბ მამედოვის სახელობისაა. იქვე, მოედანზე, ამ ცოტა ხნის წინათ საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა არმიის რიგითი ჯარისკაცის ბრინჯაოს ბიუსტი.

ყოველ დილით ფოსტალიონი, სოფელში რომ ჩამოვლის, აუცილებლად შეიკრების ხოლმე ამ სახლთან. — როზა-ხანუმ, — შესძახებს ბიუკრიდან, — ისევ წერილები მოგვიდათ. ჩებოქსარიდან, ულიანოვსკიდან, კრასნოდარიდან, სოჩლინსკიდან, მოსკოვიდან, — არჩევს ფოსტალიონი კონვერტებს. — ეს ათი კი საქართველოდან არის, სოფელ ჭალადიდიდან.

ასეთი წერილები მამედოვების ოჯახში უკვე ათასზე მეტია, მაგრამ კვლავ მოდის და მოდის. როგორ შეიძლება გული არ აუჩუყდეს დედას, როცა დნეპროპეტროვსკელი ტ. ოჩერტიანას ასეთ სტრიქონებს წაიკითხავს: „თავი ინუგეშე იმით, რომ შენი შვილი გმირულად დაიღუპა, ხალხის გადასარჩენად. თქვენ უნდა იამაყოთ...“.

...იმ დღეს კოლხეთის ცას ელვა სერავდა და ჭექა-ქუხილი აზანზარებდა. მერე კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. რიონის კალაპოტში ვეღარ ჩაეტია აბობოქრებული ნაკადი. ამღვრეულმა ტალღებმა შეუტიეს ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდს. წყალდიდობის ზონაში საფრთხეში აღმოჩნდა ათასობით ადამიანის სიცოცხლე. აქ სასწრაფოდ გამოგზავნეს ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა ქვეგანაყოფი, რომელშიც მეშანიკოსი მძღოლი რაჰიბ მამედოვი მსახურობდა.

წყალი სულ უფრო მატულობდა. რაჰიბს თავისი ჯავშანტრანსპორტიორი ყველაზე რთულ უბნებში მიჰყავდა: მან სახლის სახურავიდან გადმოსხა მთელი ოჯახი — ხუთი კაცი, მათ შორის თოთო ბავშვები. მძიმე მანქანა დაუყოვნებლივ დაბრუნდა და კვლავ აბობოქრებულ ნიაგვარში შეიჭრა... ჯავშანტრანსპორტიორი ძლივს უმკლავდებოდა ნაკადს. მამედოვი უკან არ იხედა: კიდევ გადაარჩინა გრძნობადაკარგული მოხუცი და სამი შეშინებული, სიცივით გათოშილი გოგონა...

რაჰიბი თავის მოვალეობას ასრულებდა — 28 კაცი გადაარჩინა, აი, თავს კი ვერ გაუფრთხილდა...

„რაჰიბის გმირობას არასოდეს არ დაივიწყებენ საქართველოს მშრომელები, როგორც ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის, მაღალი იდეალების თავდადებული მსახურების ბრწყინვალე ნიმუშს...“, — ეს იმ დეპეშის სტრიქონებია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა გაუგზავნა მამედოვების ოჯახს.

რაჰიბის ძეგლის გახსნაზე საქართველოს დელეგაცია ჩამოვიდა. მან თან ჩამოიყვანა 28 კაცი და გრანიტის კვარცხლბეკზე ჩამოსხა. — რაჰიბი ჩვენთვის დაუვიწყარია, — თქვა ჭალადიდელმა მოსწავლემ თამრიკო ბუკიამ, რომელიც რაჰიბმა გადაარჩინა. — ჩვენი სოფლის ქუჩა, პიონერული მდგომარეობა ამას მოწმობს.

ამგვარმა წაყრუებამ და განუკითხაობის ატმოსფერომ კი დაუსჯელობის გრძნობა განუმტკიცა, შეცდომები შეცდომებზე დაშვებინა ტ. შონიას. არავინ შეჩერა, არავინ უთხრა, რომ კანონიერების დარღვევისათვის დღეს თუ ხვალ მოჰკითხავდნენ როგორც ხელმძღვანელს, როგორც კომუნისტს, რომელიც თავმდაბლობით, კანონიერების პატივისცემით თავად უნდა ყოფილიყო ხელქვეითთათვის მისაბაძი. მან სოფელ ოდიშში ყველას თვალწინ აღმართა სამსართულიანი კაპიტალური სახლი და მანსარდით, აივნებით, ეუზით და სხვა ათასნაირი ზიზილ-პიპილებით შეამკო იგი. ამასთანავე მან უხეშად დაარღვია პროექტით გათვალისწინებული ნორმები, ყველაფერი გაორმაგა: დედის სახელზე გაფორმებული 0,15 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთის ნაცვლად უკანონოდ ფლობდა 0,4 ჰექტარ საკოლმეურნეო მიწას. მან ასევე უმტკივნეულოდ შეძლო ქალაქ ზუგდიდში კაპიტალური ორსართულიანი საკუთარი საცხოვრებელი სახლის გასხვისება.

ეს ის პერიოდია, როცა ტ. შონია ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობდა, სათავეში ედგა ერთერთ მოწინავე სატრანსპორტო ორგანიზაციას და დიდ საქმეს აკეთებდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ტ. შონიას სამსართულიანი სახლის მშენებლობის საკითხი არ სცოდნოდა ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელობას, პარტიულ კომიტეტს. აი, მაშინ შეიძლებოდა მისი შეჩერება.

ტ. შონიას პერსონალურ საქმესთან დაკავშირებულ მომენტებზე საუბარი იმიტომ გაგვიგრძელდა, რომ ეს ტიპური შემთხვევა კარგად ასახავს ქალაქ ზუგდიდის ახლომახლო სოფლებში მიმდინარე არასასურველ პროცესს. გამდიდრების მანიით შეპყრობილი ზოგიერთი თაღლითი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს ორ სკამზე დაჯდეს და თუ ოდესმე

ᲠᲝᲪᲐ ᲗᲘᲗᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲑᲐ ᲐᲠᲐᲗᲘᲗᲛᲐᲡᲐ

მის შორეულ წინაპარს სოფელში უცხოვრია, „სამემკვიდრეო მამული“ არ დაკარგოს.

ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სპეციალური კომისია ამჟამად სწავლობს ქალაქიდან სოფელში სარფიანი მიგრაციის მოყვარულთა საქმიანობას. მაგრამ საკითხს მეტი ჩაღრმავება უნდა. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიის ზუგდიდის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და ყველა მაკონტროლებელმა ორგანომ, რომლებსაც „მახსურებრივად ევალებათ ამ უთავბოლო ორომტრიალში სიცხადის შეტანა. ამ ღონისძიების შუაგულში უნდა მოექცეს აგრეთვე რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება, რამეთუ ის არის მიწის ერთპიროვნული პატრონი და მისთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, თუ რა ხდება ამ მხრივ რაიონის სოფლებში.

საერთო საქმის, საზოგადოების ინტერესების საზიანოდ გამდიდრებისა და სარფის მოყვარულთა მკაცრად უნდა მოვკითხოთ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი ივნისის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, „საზოგადოება ვერ დაემორჩილება ანგარიბითს ინტერესებსა და მოქმედებას. მათ მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ... შრომითმა კოლექტივებმა, პარტიულმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ ასეთი ადამიანების მიმართ, იყვნენ მათდამი შეურიგებელნი“.

მედალს ორი მხარე აქვს. ჩვენი აზრით, სათანადო ორგანოებმა ამ საკითხის პარალელურად კომპლექსურად უნდა შეისწავლონ სოფლიდან ქალაქში მიგრაციის პროცესი და მისი კანონიერებაც. მოსალოდნელია, რომ ესეც მრავალ ნეგატიურ მოვლენას ახდის ფარდას. ყველამ უნდა გიგიოს, რომ სოფელი ადვილად მოსაწველი ფური არ არის!

Თ. ᲩᲐᲩᲘᲒᲐᲘᲐ,
„ᲙᲝᲛᲝᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲠᲝᲪᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲠᲔᲑᲐ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სითბოთი და სილამაზით აღსავსე შემოქმედებით საღამოზე ყღერდა სიმღერები, რომლებიც დიდი ხანია ხალხმა შეიყვარა და კვლავ ხალისით მოვიდა მათ მოსასმენად. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის სიმღერებში ისმის მშობლიური კუთხის გულისცემა. ესენია: „იმერეთის ნიავო“, „იმერთო სიყვარულისა“, „ქართველო მიწა“, „ბათუმი რად ღირს“, „ფიროსმანის ქალაქი“, „თბილისო, სიყვარულო“, „კახეთო“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ქართული სიმღერაა.

საგულისხმოა, რომ ნ. დუღაშვილი თვითონვე არის თავისი სიმღერების ჩინებული შემსრულებელი. ჩვეულებისამებრ ამ კონცერტზე მან შეასრულა სოლო პარტია სიმღერისა „კახეთო“, ანა კალნდაძის ლექსებზე დაწერილი სიმღერები: „არაბი ხარ“, „თაფრის გოგონა“, აგრეთვე „ფიროსმანის ქალაქი“, ანსამბლო „ფაზისთან“ ერთად „თბილისური ალბომიდან“ რომელიც ახალი სიმღერებისაგან შედგება. აქვე უნდა ითქვას, რომ მთელი საღამოს მანძილზე აეტორს მიჰყავდა როიალის პარტია, რითაც მკაფიოდ გამოავლინა შესანიშნავი კონცერტმაისტერის პროფესიული ალღო და პიანისტური ხელოვნება.

საყურადღებო იყო გალაკტიონის ლექსის მიხედვით შექმნილი სიმღერის პრემიერა „თეთრი პელიკანი“, რომელიც შეასრულა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა ამირან გოგიჩაიშვილმა. ეს სიმღერა ზოგიერთმა [illegible] ვის ამ სიმღერების გვერდით მოულოდნელი იყო ნ. დუღაშვილის ჯაზური კომპოზიციები, მაგრამ ამ ჟანრს გარკვეული ადგილი ეთმობა კომპოზიტორის შემოქმედებაში. საკმარისია დავასახელოთ „გზა შენსკენ“, „თოგს“, „ჩემი სიმღერა“ და ჯაზური ვოკალიზები (როიალთან ზ. ჭელიძე); სოლისტი იყო გ. ჭანტურია, მანვე შეასრულა ნ. ბარათაშვილის ლექსის მიხედვით შექმნილი რომანსი „შენნი დალალნი“. კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილის შემოქმედების გამომსახველობას ხელს უწყობს მის მიერ გემოვნებით შერჩეული გამოჩენილი პოეტების გრ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, მ. ქვლივიძის, მ. ლებანიძის, მ. ფოცხიშვილის, ჯ. ჩარკვიანის, დ. კვიცარიძის, ანა კალანდაძის ლექსთა სიღრმე.

კომპოზიტორ ნ. დუღაშვილის შემოქმედებაზე სიტყვით გამოვიდნენ მუსიკათმცოდნე ა. წულუკიძე, პოეტები და მწერლები ანა კალანდაძე, დ. კვიცარიძე, მ. ქვლივიძე, ჯ. ჩარკვიანი და მ. ფოცხიშვილი.

საღამო დაამშვენა ანსამბლების „ფაზისის“ და „კოლხეთის“ მომღერლების ე. კაკულიას, ზ. ხოსიტაშვილის, ნ. ჯადუგიშვილის, ნ. დოლენჯიშვილის, მ. კიკალაშვილის ვოკალურმა ხელოვნებამ. საღამო ჩვეული ოსტატობით მიჰყავდათ ლია მიქაძისა და გია ჭირაქაძეს.

ᲘᲝᲜᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲠᲤᲘᲐᲜᲘ „ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ“ ᲛᲝᲥᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲛᲐ მძლავრად შეუტია სოფელს. ფეშენებელური აგარაკების მშენებლობით გატაცებული ზოგიერთი საქმოსანი ხელოვნებით ატაცებს საკოლმეურნეო მიწას. ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ზუგდიდში დაიწყო „სარფიანი მიგრაცია“ ქალაქთან ახლომდებარე სოფლებში, რამაც დიდად გაზარდა მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური მინათმშენებლობის წესების უხეში დარღვევის შემთხვევები.

ზუგდიდი რესპუბლიკური დაქვემდებარების საშუალო მასშტაბის ქალაქია. ზუგდიდიო ვიტყვით, და ჩვენს წარმოდგენაში იგი ყოველთვის განუყოფელ ერთეულად მოგვაჩნია, თუმცა ქალაქი და რაიონი 1967 წლიდან ერთმანეთისგან მტკიცედ არის გამიჯული.

დიახ, მიჯნები კი არის დადგენილი, მაგრამ რაიონისა და ქალაქის ტერიტორია იმგვარად არის ერთმანეთში სოლივით შეჭრილ-შემოჭრილი, ისეა ურთიერთგადაბმული სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, ქუჩები და საკარმიდამო ნაკვეთები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღები, რომ უცხო თვალი ძნელად გაარკვევს, თუ სად იწყება ერთი და სად — მეორე.

წარსულ ორი ათეული წლის მანძილზე აშკარად შეიმჩნევა ქალაქ ზუგდიდის ცალკეულ ბინადართა სოფლისაკენ სწრაფვა, უკუმიგრაცია, რომლის მიზანია არა პატრიოტული სურვილი — ხელი შეაშველონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში დასაქმებულ ადამიანებს, არამედ უცხო სხეულივით მიეტანასონ ახლომდებარე სოფლებს, პირადი გამორჩენის მიზნით გამოიყენონ საკოლმეურნეო მიწები, ააგონ იქ კაპიტალური სახლები და აგარაკებად გაასაღონ, შემდეგ კი თავი მოსაწყლონ და ხელისუფლების მიერ ამ დარგში დაშვებული შეღავათები მოიშველიონ.

კერძოსაკუთრული სულისკვეთებით შეპყრობილმა ბევრმა ადამიანმა მოახერხა ქალაქ ზუგდიდის ახლომდებარე სოფლებში ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, საკუთარი თუ ვინმე ახლო წინაპრის, ან მემკვიდრის სახელზე გაიფორმებინა და მიეთვისებინა საუკეთესო ადგილები, გაემართა დამხმარე მეურნეობები და თანაბრად ესარგებლა როგორც ქალაქის, ისე სოფლის ყველა სიკეთით. ამავე პერიოდში სოკოებივით მომრავლდა პატარა საამქროები, სახელოსნოები, სარფიანი, „ფულის გასაკეთებელი“ ობიექტები. და ეს მაშინ, როცა რაიონის მაღალი ზონის საზოგადოებრივ მეურნეობათა უმრავლესობას მეცხოველეობის განვითარებისათვის მყარი ბაზა არ აქვს, რის გამოც ზოგჯერ იძულებულია მამასისხლად შეძენილი პირუტყვის საკვები რესპუბლიკის გარეთ შემოიტანოს. მცირემოწინან სოფლებში კი კომლიდან სრულუფლებიანი ოჯახის გამოყოფის საშუალებაც არ არის.

„მიგრაციის“ ეს ტალღა ყველაზე მეტად შეეხო ქალაქის მეზობლად განლაგებულ სოფლებს: ოდიშს, ორჯონიკიძეს, ახალსოფელს, ჭითაწყარს, ინგირს, კოლხიდას, რუხს (განსაკუთრებით კი ნაწულუკეს უბანს) და კორცხელსა და ცაიშაც უწია. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ეს პროცესი დღესაც ინტენსიურად გრძელდება, ხოლო სახლხო დეპუტატთა ზუგდიდის რაიონული საბჭოს აღმასკომი და მისი აღგილმბრივი ორგანოები, იმის ნაცვლად, რომ მკაცრი ღონისძიებანი განახორციელონ მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალურ მინათმშენებლობაში კანონიერების დარღვევათა სალაკვიდაციოდ, ბევრ შემთხვევაში ვერ იჩენენ საჭირო პრინციპულობას.

ამ მოჯადოებული წრის გარღვევის, „სოფლისაკენ ლტოლვის“ ზუგდიდური პროცესის მთლიანად შეჩერების თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი შენელების საბაბი გახდა ერთი ფაქტი, რომელიც გასული წლის ოქტომბერში მოხდა.

სოფელ ოდიშის მცხოვრებმა, ქ. ზუგდიდის № 2767 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორმა, კომუნისტმა ტ. შონიამ თავის ვაჟიშვილს მ. შონიას ხალხმრავალი ქორწილი გადუხადა. აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდა პარტიის ზუგდიდის რაიონული კომიტეტისათვის, რომელმაც შეისწავლა საკითხი და 1986 წლის 23 დეკემბერს ბიუროზე განიხილა იგი. რაიკომის ბიურომ ოდიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარეს გ. სართანიას და კოლმეურნეობის გამგეობის თავჯდომარეს მ. ღურწკაიას სოფელში მიწათსარგებლობის საქმეში არსებული დარღვევებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისათვის გამოუცხადა საყვედური საღრიცხვო ტ. შონიას პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი კი შემდგომი რეაგირებისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტს გადაეგზავნა.

ამ უკანასკნელმა დიდხანს უკიჟიტა ტ. შონიას პერსონალურ საქმეს. რაიკომიდან მიღებული მასალები ჯერ პარტიულ ორგანიზაციას გადაუგზავნა, სადაც წარმოების ხელმძღვანელს გამოუცხადეს მკაცრი პარტიული სასჯელი — სასტიკი საყვედური საღრიცხვო. ბარათში შეტანით, შემდეგ ამ საკითხს განხილვა ქალაქკომის ბიუროზე სამჯერ გადაიდო. რატომ? იმიტომ, რომ საქალაქო კომიტეტთან არსებულმა პარტიულმა კომისიამ, რომელიც საკითხს ამზადებდა, „ვერ დაადგინა“, თუ რით გამოიხატა ტ. შონიას მიერ პროექტის დარღვევით სახლის მშენებლობა, ის, თუ რამდენი კვადრატული მეტრია ამ სახლში ზედმეტი სასარგებლო და დამხმარე ფართობი. ეს არც პარტიის საქალაქო კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილებაშია მითითებული, რომლის მიხედვით გადაპარბებული ქორწილის მოწყობის, პროექტის დარღვევით საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა და ზედმეტი მიწის ნაკვეთის უკანონოდ სარგებლობისათვის ტ. შონიას გამოუცხადეს სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით და აღნიშნული დარღვევებისათვის თანამდებობიდან გათავისუფლეს.

ყურადღებას იპყრობს ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (ბიუროს მდივანი — კ. ფიფია) ტ. შონიას პერსონალური საქმის განხილვის პროცესი. პარტიულ კრებას აღრიცხვაზე მყოფი 69 კომუნისტიდან 58 დაესწრო. კოლექტივისათვის ასეთი მწვავე და მტკივნეული საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ხუთმა კომუნისტმა, მათ შორის სამმა მძღოლმა და ორმა ცვლის მექანიკოსმა. არც ერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ გამოსულა და თავისი მოსაზრება არ გამოუთქვამს. გამოსვლებიც ერთ ჰანგზე იყო აწყობილ-პროგრამირებული და ორი წევრთი წყალვითი ჰგავდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ ამ საკითხზე მიღებული საბოლოო დადგენილების შინაარსს.

და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი უპრინციპობა, მცირე მომთხოვნელობა, უდისციპლინობა და გაუმართლებელი, საქმის საზიანო ლიბერალობა-ყოვლისმომტევებლობა დამახასიათებელია ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო პარტიული ორგანიზაციის (გენერალური დირექტორი — გ. ნარმანია) კოლექტივისათვის, რომელშიც არ იგრძნობა დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით არათუ მუშაობის გარდაქმნა, არამედ, შეიძლება ითქვას, ამის საფუძვლიანი სურვილიც კი. ყოველ შემთხვევაში, საქმის რეალური მდგომარეობა ამას მოწმობს.

ამგვარმა წაყრუებამ და განუკითხაობის ატმოსფერომ კი დაუსჯელობის გრძნობა განუმტკიცა, შეცდომები შეცდომებზე დაშვებინა ტ. შონიას. არავინ შეჩერა, არავინ უთხრა, რომ კანონიერების დარღვევისათვის დღეს თუ ხვალ მოჰკითხავდნენ როგორც ხელმძღვანელს, როგორც კომუნისტს, რომელიც თავმდაბლობით, კანონიერების პატივისცემით თავად უნდა ყოფილიყო ხელქვეითთათვის მისაბაძი. მან სოფელ ოდიშში ყველას თვალწინ აღმართა სამსართულიანი კაპიტალური სახლი და მანსარდით, აივნებით, ეუზით და სხვა ათასნაირი ზიზილ-პიპილებით შეამკო იგი. ამასთანავე მან უხეშად დაარღვია პროექტით გათვალისწინებული ნორმები, ყველაფერი გაორმაგა: დედის სახელზე გაფორმებული 0,15 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთის ნაცვლად უკანონოდ ფლობდა 0,4 ჰექტარ საკოლმეურნეო მიწას. მან ასევე უმტკივნეულოდ შეძლო ქალაქ ზუგდიდში კაპიტალური ორსართულიანი საკუთარი საცხოვრებელი სახლის გასხვისება.

ეს ის პერიოდია, როცა ტ. შონია ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობდა, სათავეში ედგა ერთერთ მოწინავე სატრანსპორტო ორგანიზაციას და დიდ საქმეს აკეთებდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ტ. შონიას სამსართულიანი სახლის მშენებლობის საკითხი არ სცოდნოდა ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელობას, პარტიულ კომიტეტს. აი, მაშინ შეიძლებოდა მისი შეჩერება.

ტ. შონიას პერსონალურ საქმესთან დაკავშირებულ მომენტებზე საუბარი იმიტომ გაგვიგრძელდა, რომ ეს ტიპური შემთხვევა კარგად ასახავს ქალაქ ზუგდიდის ახლომახლო სოფლებში მიმდინარე არასასურველ პროცესს. გამდიდრების მანიით შეპყრობილი ზოგიერთი თაღლითი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს ორ სკამზე დაჯდეს და თუ ოდესმე

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მხატვრის სახლში გრძელდება ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენების ის ციკლი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. დამთვალიერებელს აღრე უკვე ჰქონდა საშუალება გასცნობოდა ფერწერულ ტილოებს იმ მხატვრებისას, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე ჩვენი საუკუნის 50-იან, 60-იან, თუ 70-იან წლებში გამოვიდნენ. ვერნისაჟის პროგრამაში იყო აგრეთვე ჩვენი დღევანდელი თაობის ნამუშევრებიც. ექსპოზიცია, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა, ხელოვნების მოყვარულთ სთავაზობს გრაფიკულ მხატვრობასა და ქანდაკებას. ამჯერად წარმოდგენილია 50-იანი და 60-იანი წლების პერიოდი. გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა, მოქანდაკე ე. ამაშუკელმა.

— გამოფენა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ძიებათა ის არეალი, რომელშიც ჩამოყალიბდა დღევანდელი ქართული გრაფიკა და ქანდაკება. რეტროსპექტული გამოფენების ეს ციკლი მომავალშიც გაგრძელდება და საბოლოოდ შეიქმნება ერთი მთლიანი სურათი თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისა, — თქვა მხატვრის სახლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა თ. გოცაძემ.

ექსპოზიციის დიდი მნიშვნელობა აღნიშნა ხელოვნებათმცოდნე თ. ფერაძემაც:

— კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, დღეს აქ ერთმანეთს ხვდებიან ერთი თაობის წარმომადგენლები, თაობისა, რომელთა შორის არიან იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფეები. მათ, უდავოდ, დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა ქანდაკების განვითარებაში.

ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა ამ მიტად საგულისხმო ექსპოზიციაზე ილაპარაკა აგრეთვე საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა, მოქანდაკე ს. ქოიავამ.

ახალი პლასტიკური ფორმების ზვადოშის ნათელ სურათს უქმნის დამთვალიერებლებს საგამოფენო დარბაზი, სადაც ქანდაკებაა ექსპონირებული. აქ წარმოდგენილ ფიგურულ კომპოზიციებში, პორტრეტებში, ქანრულ ფიგურებში მოჩანს შემოქმედებითი ძიება და თვითმყოფი ეროვნული ხასიათი. მნახველი ეცნობა ე. ამაშუკელის, მ. ბერძენიშვილის, გ. ოჩიაურის, ბ. ციბაძის, ა. გორგაძის, გ. კალაძის, გ. მიზანდარის, გ. მიქაძის და სხვათა ნამუშევრებს.

საინტერესოა გამოფენის გრაფიკის განყოფილებაც. თემატიკის მრავალფეროვნება და აქტუალურობა, მაღალი პროფესიული ოსტატობა ერთი მთლიანი სურათი თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისა, — თქვა მხატვრის სახლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა თ. გოცაძემ.

ექსპოზიციის დიდი მნიშვნელობა აღნიშნა ხელოვნებათმცოდნე თ. ფერაძემაც:

— კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, დღეს აქ ერთმანეთს ხვდებიან ერთი თაობის წარმომადგენლები, თაობისა, რომელთა შორის არიან იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფეები. მათ, უდავოდ, დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა ქანდაკების განვითარებაში.

ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა ამ მიტად საგულისხმო ექსპოზიციაზე ილაპარაკა აგრეთვე საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა, მოქანდაკე ს. ქოიავამ.

ახალი პლასტიკური ფორმების ზვადოშის ნათელ სურათს უქმნის დამთვალიერებლებს საგამოფენო დარბაზი, სადაც ქანდაკებაა ექსპონირებული. აქ წარმოდგენილ ფიგურულ კომპოზიციებში, პორტრეტებში, ქანრულ ფიგურებში მოჩანს შემოქმედებითი ძიება და თვითმყოფი ეროვნული ხასიათი. მნახველი ეცნობა ე. ამაშუკელის, მ. ბერძენიშვილის, გ. ოჩიაურის, ბ. ციბაძის, ა. გორგაძის, გ. კალაძის, გ. მიზანდარის, გ. მიქაძის და სხვათა ნამუშევრებს.

საინტერესოა გამოფენის გრაფიკის განყოფილებაც. თემატიკის მრავალფეროვნება და აქტუალურობა, მაღალი პროფესიული

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ

100



ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ

ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ საინტერესო ღონისძიების მასპინძელი ყოფილა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი. ამას წინათაც ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრებმა შეხვედრა მოუწყვეს ჰარვარდის უნივერსიტეტის 32 წლის პროფესორს მარკ ბეისინგერს, რომელიც მეუღლესთან ერთად ესტუმრა თბილისს. იგი ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს საბჭოთა კავშირის შესახებ, მისი მეუღლე მარგარეტა კი იქვე ასწავლის რუმინულ ენას. ბატონი ბეისინგერი გამოსაცემად ამზადებს წიგნს „სოციალისტური დისციპლინის მეცნიერული მართვა და საბჭოთა ხელისუფლება“.

— მეხუთედ ვიმყოფები თქვენს ქვეყანაში, თბილისში კი პირველად ჩამოვედი, და ისიც სულ რაღაც ოთხოდე დღით, — თქვა მეცნიერმა. — ახლა დემოკრატიზაციის საკითხებზე ვმუშაობ და ჩემი ჩამოსვლის მიზანია უკეთ გავეცნო თქვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების არსს, რომელსაც რევოლუციურსაც კი ეუწოდებდი. სამ თვეს დავყავი მოსკოვში. ეს არცთუ ისე დიდი დროა, მაგრამ საიმისოდ კი კმარა, არსებითად რომ დაინახო ის ყოვლისმომცველი პროცესები, რომლებიც იწყება.

ახალგაზრდა მეცნიერ ე ბ მ ა ვრცლად ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომლებიც ასე აღელვებთ როგორც ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს, ასევე მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს.

ბატონმა ბეისინგერმა ილაპარაკა ახალგაზრდა ამერიკელ მეცნიერთა სადღეისო პრობლემებზე.

მასპინძლებმა სტუმარს გააცნეს თავიანთი საქმიანობა, საბჭოს ფუნქციები და ამოცანები, ის თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს იგი ახალგაზრდა მეცნიერთა დასახმარებლად და სხვა.

საუბარი უაღრესად გულწრფელი და საინტერესო იყო.

ნ. ნინიძე,
„ᲙᲝᲛᲝᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠ.



ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲐ

ᲛᲘᲖᲔᲖ-ᲛᲘᲖᲔᲖ...

საქართველოში, მის დედაქალაქში, „ბორჯომი“ ვერ დალიო?!

ეს იმას ნიშნავს, პარიზში ჩასვიდე, ეიფელის კოშკი არ დაგხვდეს.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, ბოლო ხანს სპეციალიზებულ მაღაზიებშიც კი გაწყდა „ბორჯომი“ და საერთოდ, მინერალური წყლები.

თუ სახაგრომრეწვის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას და კერძოდ, მიხეილ ჩიკაძეს ჰკითხავთ, გეტყვით: პლასტმასის ყუთები არ გვყოფნისო!

მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

საკითხავია. სანამ პლასტმასის ყუთები არ იყო, როგორ მარაგდებოდა მოსახლეობა მინერალური წყლებით?

წლეულს ექვს თვეში „საქმინწყალვაჭრობტარის“ თბილისის ბაზას გეგმით გათვალისწინებული 19 მილიონ 315 ათასი ბოთლი „ბორჯომის“ ნაცვლად 14 მილიონ 270 ათასი მიაწოდეს, ესე იგი მომმხარებელს დააკლეს 5 მილიონ 44 ათასი ბოთლი; „მიტარბი“ კი 300 ათასი ბოთლი „ნაბეღლავი“ — 231 ათასი, „სქური“ — 307 ათასი. წლეულს ბაზაში საერთოდ ერთი ბოთლიც კი არ შემოუტანიათ „ბოლნისი“, „ვარძია“, „უწერა“...

ბორჯომში, ნაბეღლავში, ბოლნისში, ვარძიაში, სქურში, უწერაში კი ამაოდ იღვრება ეს მაცოცხლებელი წყალი...

თურმე, მარტო მაიაკოვსკელები აღმოჩნდნენ სიტყვის ხალხი, და რამდენიც ევალებოდათ, იმდენი ბოთლი „საირმე“ გამოუგზავნეს თბილისელებს.

მინერალური წყლის დეფიციტი მარჯვედ გამოიყენეს ჯიბის გასასქელებლად თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის საჭკვების კაფე „ცაგერის“ მუშაკებმა. მათ მტკ